

## საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 21 ივნისის N 141 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა „საქართველოს ეროვნული ბანკის ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ“ 2009 წლის 15 იანვარს ხუთშაბათი საქართველოს ეროვნული ბანკის „ბ“ კორპუსში (დადიანის ქ. 2) საკონფერენციო დარბაზში დღის 12 საათზე ჩატარდება აუქციონი საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

1. ავტომანქანა (GAZ – 3110 სახელმწიფო ნომერი AOA-989, სარეგისტრაციო ნომერი AE0049121, გ.წ. 2003, ფერი – შავი) საწყისი სააუქციონო ფასი 3150(სამი ათას ას ორმოცდაათი) ლარი.
2. ავტომანქანა (GAZ – 3110 სახელმწიფო ნომერი SXS-143, სარეგისტრაციო ნომერი Ab0056494 გ.წ. 2002, ფერი –რუხი) საწყისი სააუქციონო ფასი 2800 (ორი ათას რვაასი) ლარი.
3. ავტომანქანა (CHEVROLET SUBURBAN, სახ. ნომერი VIV-633, გამოშვების წელი 1999) საწყისი სააუქციონო ფასი 14250 (თოთხმეტი ათას ორას ორმოცდაათი) ლარი.

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე-ს“ მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი სააუქციონო ფასის 10-%-ს, რომელიც ჩარიცხულ/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნულ ბანკის N 117904101 ანგარიშზე (საიდენტიფიკაციო კოდი 203824148, ბანკის კოდი 220101107). განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილისა და იმ ობიექტის შესახებ, რომლის შეძენაც მას სურს) და „ბე“-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს ქალბატონ ლიანა კვირიკაძეს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი“.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ სააუქციონო კომისიის მდივანს ქალბატონ ლიანა კვირიკაძეს, (საკონტაქტო ტელეფონის ნომერი 44-21-41) ელ. ფოსტა [lkvirikadze@nbg.ge](mailto:lkvirikadze@nbg.ge) .

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია.